№ 157 31 ივლისი, სამშაბათი 1866—1879 31 ივლისი, სამშაბათი № 157

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** ღიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 27 ივლისს.** თფილისის კანტროლნი პალატის უფროსი რევიზორი იოქოვსკი დანიშნულია სტავროპოლის პალატის განმგებლად.

**მადრიდი, 27 ივლისს.** ეკიპაჟი, რომლითაც მიდიოდა კოროლი ალფონსი, ესკურიალსა და სან-ილდეფანსოს შუა წაიქცა; კოროლი და ერთი ღენერალი მსუბუქად დაიჭრნენ.

**ბელგრადი, 27 ივლისს.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ სავვა გრუიჩი დანიშნულია აგენტად ბოლგარიაში. ბოლგარიის თავადის ადიუტანტი წავიდა ნიშში, რომ თავადს მ ლანს ჩააბაროს თავადის ალექსანდრეს წერილი.

**პეტერბურღი, 26 ივლისს.** რუშჩუკიდამ მოვიდა ცნობა 24 ივლისს, რომ გუშინ ბოლგარიიდამ სრულიად გამოვიდა ჯარი. დღეს ორი პოლკი გასცილდა რენსა; ასე, რომ არც რუმელიაში და არც ბოლგარიაში არც ერთი შეიარაღებული რუსის სალდათი არ მოიპოვება. დარჩა მხოლოდ ღენერალი რაზლილდევი 29 ივლისამდი, სანამ ყველაფერ ნივთეულობას გაისტუმრებს. ის წავა ოდესსაში და გაგზავნის სამშობლოში ყველა აქ მყოფს რუსებსა.

**პეტერბურღი, 28 ივლისს.** გაზეთ „გოლოსს" აცნობებენ სტამბოლიდამ 25 ივლისიდამ, რომ პორტამ არიფა-ფაშის წინადადებით გადასწყვიტა გაგზავნოს ოსმალეთის მცირე აზიის პრო ვინციებში კამისარი, რათა იმან თვალ-ყური ადევნოს თათრების ადგილობრივ მოხელეების მოქმედებას და გადასახადების მომკრეფის კასსებს. ამგვარივე კამისრები დანიშნულნი არიან სტამბოლშიაც. ამათ ვადა არ აქვსთ დანიშნული, მაგრამ როგორც ამბობენ, უნდა იყვეს ერთის წლისა. ამ საქმეზედ შედგენილი პროექტი განიხილება მინისტრების რჩევაში და მოკლე ხანში დამტკიცდება..

**პეტერბურღის ბირჟა, 25 ივლისს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—25 |
| მეორე — — — — | 93—50 |
| მესამესი — — — | 93—80 |
| მეოთხესი — — — | 93—57 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92— 8 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—80 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—81 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 233—25 |
| მეორე სესხის — — | 233— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—32 | პენსი |
| ბერლინი — — | 129— „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265—58 | სანტიმი |
| ვენა — — — | 215—25 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — | „ — | |

## ფელეტონი

* * *

ერთ განთქმულ-მხეცების მწრთვნელთან
მე მიველი ჩემის ცოლით;
დაუჩოქე ახლო ტახტთან
და შევევედრე ცხარის ცრემლით:

—

„შენ ხარ მეფე მხეცთა ზედა,
წრთვნი იმათ და მსწრაფლ არჯულებ,
ვეფხვსა და ლომს ჩაიზედა
გვერდში ისომ მეგობრულებ!

—

„მაგრამ შენსა მეფურ-ძალსა
მხოლოდ მაშინ დავიჯერებ,
თუ შესძლებ და ამ ჩემს ცოლსა
მათებრ მოათვინიერებ!"

—

მხეცთა მწრთვნელმა ქალს შეხედა,
თვალი თვალში გაუყარა,
შემდეგ ჯადო-ჯოხს დახედა
და დარცხვენით ჩუმათ მითხრა:

—

„წმინდის გულით გაგიტყდები
ჩემგან ეგ არ ასრულდება!...
ამიტომ რომ, მე მოვსცდები
და ეგეც არ მორჯულდება".

ი. ე.

### სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

(ოჰანეზა, შაქრის ვაჭარი ოთახში დადის დილით. პრიკაშჩიკს ტარიელას ისევა სძინავს.)

**ოჰანეზა.** (თავის თვის) გუშინ ჩემმა პრიკაშჩიკმა თავისი ცხრა წლის ჯამაგირი მთხოვა, თურმე ინიშნება! ორას თუმნამდის ჯამაგირის ფული ერგება! ერთად ამდენი ფულის მიცემა არაფერი ხუმბრობაა!.. არა, თუ ერთი შარი არა უგდე-რა ამ ფულს დამათვლევინებს და რათ დაუთვალო, როცა შემიძლიან არ მივცე! ორასი თუმნის მიცემას ერთ ათ თუმანს გადაუგდებ ძაღლივით ერთ მშიერ ადვოკატს და ამდენი ილაპარაკებს, რომ უჰჰ! (დაფიქრდება, ამოიღებს ორ ათ თუმნიანს, მიიტანს და ტარიელას უბეში ჩუმათ ჩასდებს.) ოჰ გული სულ კანკალი შვრება... ეს ერლი, ეს ორი... (ტარიელამ ამოიხვნეშა). ვა რას ხვნეშის? იქნება ცივი ხელი ეჩოთირა!.. ენ სამი ღილი!.. აბა, ოჰანეზ, ახლაა ბიჭობა (ორი თითით უჭირავს ფული და უბეში უდებს; ფეხები განზედ უდგგა და პირი დაღებული აქვს. ტარიელა ამოიხვნეშებს; ოჰანეზა შეხტება და ფული ნახევარზედ სჩანს უბიდგან და მერე შორიდამ თითით წასტენს. ხველებით გაივლის და გამოივლის). ოჰუ! ოჰუ! (ახველებს). ეი ტარიელა, გძინამს ბიჭო? ერთი ად ექი მამა გიცხონდა დაიღუპე, დავნელდი!

**ტარიელა.** (წამოვარდება და თვალების ფშვნეტით) რა ამბავია, ალა!?

**ოხანეზა.** ღმერთმა რომ არ იცის ახლანდელი მოჯამაგირეების თავ-ტანი!

# საქართველო

## დღიური

** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ უ. ვასილ ხუნდაძესაგან შემდეგი წერილი: „ამ ერთი კვირაა, რაც გაგვიჭინჭყლიანდა ჰაერი და არ მოასვენა შავი ზღვა, რომელსაც აგორებს ხან ზევით, ხან ქვევით, რისგამოც ერთი ორი მაჩტიანი სანდალი რამოდენიმე მოსამსახურეებით, რეიზით და მატროსით დატყვევა ზღვაში სადაც ის ხან დამალულია ზღვაში, გვგონია ეს არის ჩაძირაო და ხან ამოჰყოფს თავსა. თითქმის სამი დღეა ამ გაწა-მაწიაში არის და ავდარი უფრო ემატება და არ აკლდება.

24 ივლისს დავინახეთ ზღვაში თითქო მტვერიაო ჰაერამდისინ ადიოდა; ხალხი განცვიფრებით შესცქეროდა და თავზარდაცემული ყვიროდა: „ის თუ რამეს მოხვდა, ჰაერში აიტანსო“. როგორც გავიგეთ, ეს ყოფილა გრიგალი, რომელიც მტვრის მზგავსად გვეჩვენა. ამ გრიგალი გამოექანა ჩვენკენ, მოედო სიმინდის მალაზიებს და აგლიჯა სახურავები, რომელნიც ჰაერში ფრინავდნენ; მაღლიდამ ჩამოვარდნილი ლამპის ფიცარი დაეცა თავში ერთ კაცს, რომელსაც მსწრაფლ მოუღო ბოლო.

მდინარე სუფსა და სხვა პატარა მდინარები ისეთ ნაირათ არიან გადიდებული, რომ კაცს არ შეუძლია შიგ გავიდეს. ხიდეები და ბოგირები აღარსად დაუნარჩუნებია, სულ წაუღია“...

** ზუგდიდიდამ იწერებიან, რომ მარტვილის სასულიერო სასწავლებლის გადატანაზედ ზუგდიდში მიუქცევიათ ყურადღება და, როგორც ამბობენ, დროებით, (ერთის წლით) ცაიში უნდათ გადაიტანონო ეს სასწავლებელი—სადაც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუთვალიერებია წარსულ ოშიანობის დროს გაკეთებული ლოშპიტლის სახლები, რომლებიც უნდა დაიქირაოს სამღვდელოებამ.

კორრესპონდენტის სიტყვით, აქ სასწავლებლის გადმოტანა არ არის ურიგო, რადგანაც ეს ადგილი ძლიან მშვენიერია და მოხერხებული სასწავლებლისათვის, კარგი მდებიარობით, შენობით, წყლით, ჰაერით და სიახლოვით ზუგდიდიდამ სენაკში მიმავალი ფოჩტის გზაზედ (7—8 ვერსი).

** იქიდამვე გვწერენ, რომ ზუგდიდის მაზრის ერთ საზოგადოებას პირობა შეუკრავთ ერთმანერთში ქურდობის მოსპობაზედ.

ამ საქმის მოთავედ არიან იქაური აზნაურები, რომელნიც სხვა საზოგადოებაშიაც ცდილობენო იხმარონ ზომები ქურდობის და ქურდების წინააღმდეგ.

** კახიდამ იწერებიან: „იქაური მღვდლები ეკკლესიის სახელით კიდევ არ იშლიან ქრთამის აღებას. ა. ხას მღვდელმა მ. შ—შვილმა აიღო ერთი კაცისაგან 30 მანეთი იმიტომ, რომ ამას უნდოდა ჯვარის წერა და მღვდელმა გამოუცხადა, რომ ქალი არის შენი ნათესავიო და ეკკლესიის კანონით ჯვარის წერა არ შეიძლებაო; მაგრამ თუ სამ თუმანს შეაწირავ ეკკლესიას, მაშინ ის ნებას დაგრთავსო. აქვე 20 მანეთი გამოართო მეორეს ამავე საქმისათვის და უთხრა, სანამ ეკკლესიას ქრთამს არ მისცემ, არ შეიძლება ჯვარის წერაო. ხალხს ძალიან სწყინს ეკკლესიის სახელით ქრთამის აღება: ემდურის მღვდლებს, რომ მხოლოდ მაშინ აძლევენ ნათესავზედ ჯვარის წერას, როცა ქრთამს აიღებენ. „ჯანუმ, ეს როგორი ადათია, თუ სახტარს რუმბათს მივცემთ, მაშინ შეიძლება, თუ არ მივცემთ —არ შეიძლება“,—ამბობენ ინგილოები.

ამ გვარი მოქმედების გამო ხალხმა იჩივლა ეგზარხოსთან, მაგრამ ჯერ არ იციან, რით დაბოლოვდებაო საქმე“!..

## „დროების“ კორრესპონდენცია

გურიიდამ, 29 ივლისს. სინიდისიერი კორრესპონდენტის ვალია ჭეშმარიტი ამბები აცნობოს მკითხველებს თავის კორრესპონდენციაში; მაგრამ ეს ვალი ეტყობა არაფრად მიაჩნია, „დროების“ 145 №-ში დაბეჭდილი კორრესპონდენციის ავტორს, რომელიც მოგვითხრობს ოზურგეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის ისტორიას სრულიად უკუღმა გადაბრუნებულად.

ავტორს იმის მიზეზად, რომ ხსენებულ ამხანაგობაზე არსად არა ისმისრა, რომ მას წევრები ძლიერ ცოტა ჰყავს, რომ ის შეიძლება კიდევაც გაუქმდეს (?),- მოჰყავს იმერეთის ეპისკოპოზი. და ამბობს: ეპისკოპოზმა შეჰპირდა ამხანაგობას ათასი მანეთის შეწირვა, მაგრამ ამ ფულების შეწირვის სურვილი მას არ ჰქონებიაო; ის აძლევდა ამ ფულებს სესხად იმისთანა პირობებით (საჭირო იყო „იმ“ პირობების მოხსენება), რომლებზედაც ამხანაგობა დათანხმდა, და ვერ მიიღო ეს ფულებიო.“

რადგან თქვენ, უფ. ავტორო, სრულიად არ გცოდნიათ ამ საქმის გარემოება, თავიდგან გიამბობთ ამ ამხანაგობის ნამდვილ ისტორიას: 1876 წელში იმერეთის ეპისკოპოზი ჩამობრძანდა ბახვში და ამ სოფლის საზოგადოებას გააცნო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის წესდება და მოქმედება, ურჩია ამ სოფელში ამხანაგობის დაარსება და ამას თანავე შეჰპირდა ამ საქმისთვის 1000 მანეთის შეწირვას ძირ-ფულად (ФОНДЪ) იმ პირობით, რომ ამ ფულის წლიური სარგებლიდამ ექვს-ექვსი თუმანი ყოველ წლობით მოხმარდეს მისგანვე ამ სოფელში დაარსებულს ბახვის შკოლას. ამ ორი სასარგებლო საქმის ერთმანერთზე დაკავშირებამ კიდევ მეტად წაახალისა ხალხი, რომელიც სიხარულით დათანხმდა ყდ. სამღვდელოს რჩევაზე.-შესდგა

---

ყუთიდამ ოცი თუმანი მაკლია!

**ტარიელა.** (მძიმეთ ისევ თვალებს იფშვნეტს). რომელი ყუთიდამ?

**ოხანეზა.** დახლის ყუთიდამ! წუხელის რომ ოცი თუმანი ჩავდეთ, ნიშანდობ ის ორი ათ თუმნიანი!

**ტარიელა.** აღა, ვინ ამოიღებდა! დუქანში ერთი შენ ხარ, მეორე მე! შენ შენს ფულს არ მოიპარავდი და მე თუ ამ ცხრა წელიწადში მოგპარე რამე, იმასაც მოგპარავდი!

**ოჰანეზა.** მაშ ვინ წაიღო? მე არ მოვიპარამდი, არც ხომ შენ, მაშ ეშმაკმა ამოიღო? ეგ არის რაღა, ცხრა წელიწადია! ცხრა რომელია, ესლა ვერ ამოიღებდი? მე ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს; შენზედ ბევრს რასმეს ჩამძახოდნენ, არ ვიჯერებდი! არა ძმავ ახლა სწორეთ შენა ხარ ჩემი ქურდი.

**ტარიელა.** აღა, თუ გულში გაქვს, ბ პირათ როგორ გამოსთქვი! მე გეუნევი, შენს სახლში ცხრა წელიწადია ვარ შვილზედ უკეთესათ დამიცვამ შენი ოჯახი, ჩემს ოჯახზედ უკეთესათ; მე აღარც მამა მახსოვს ჩემი, აღარც დედა; შემოგეხიზნეთ პატარა გავიზარდე, შენს სახლში, როგორც შვილი და ახლა ქურდობასაც მწამობ?! მაგრე რომ ყელი არ გამომჭრა განა არ შეგიძლიან ჩემი სხვა ნაირათ დასჯა! აი მაშ გამშინჯე რახან ეჭვი გაქვს!

**ოხანეზა.** მე ტკბილს სიტყვებს ველარ ვენდობი! სულ თითოთ გავიგე შენი ნაქნარები! ქართველი სომხებს ემტერებიან: მაინც ჩაუშხამებს სიცოცხლეს, რომ ყელამდინ მოჰყაროს. ბატყდი, ჩემი შაქრები იაშიკებით, გიგზავნია სოფლებში, ნათესავებთან; გაგიყიდნია და ფული იქვე გაგივალებია. აჰბობენ სამას თუმანზედ მეტი ფული გაქვს გაცემულიო; სიდგან თუ მე არ მომპარე? თურმე ახლა ცოლის შერთვასაც აპირებ!.. ცოფს დავაკრამ მაგ თვალებში, თუ სულ არ გამოაჩენ ჩემი მოპარული და ამ ოც თუმანსაც ეხლავე არ ამოიღებ!

**ტარიელა.** აღა, ნუ იდებ ჩემს ცოდოს, ნუ მწვამ! სისხლს ნუ მამგვრი, თორემ ქართველური ცეცხლი ამენთებადა!..

**ოხანეზა.** და... დაასრულე რაღა?

**ტარიელა** და დაგახრჩობ, როგორც ძუნგელა მკელის!

**ოხანეზა.** დაიცა, ჯერ გაგიშინჯო, ფული ვიპოვო და მერე დამახრჩე! (ტარიელა გულს უშვერს. ოხანეზა დაიმკლავებს, შეჰყობს ხელს და ნელ-ნელა გამოიღებს და თან ხალხისკენ იცქირება), ჰა, ჰა! ეს რა არის! ეს რა არის, ჰა? შე ყურუმსაღო, ჩემი სახლი დალუპვა გინდა? (წუწუნით) ოხრასი არ გეყო, რომ ოცსაც უმატებდი? ჰო, ეს საჭგზავროთ გინდოდა რაღა! ვერ მოგართვი!

**ტარიელა.** (შეწუხდება) აღა რათ დაგიმტკიცო, რომ მე არა ვარ შენი ქურდი! ენდე ღმერთსა, ენდე სარწმუნოებას! ეს

ამხანაგობის წესდება და უნდა გაგზავნილიყო დასამტკიცებლად ბახვის სახელზე. მაგრამ ამ დროს ერთმა-ორმა, ოზურგეთში მოსამსახურე პირმა, მოინდომა დვაბზუის, ლეხაურის, შემოქმედის და ზურიამთის საზოგადოებაების და ოზურგეთის მცხოვრებლების ამ ამხანაგობასთან შემოერთება. ამ აზრით ხსენებულმა პირებმა დაიარეს ეს სოფლები, აუხსნეს მათ ამხანაგობის საჭიროება და როგორც ამბობდნენ, დაითანხმეს კიდეც, ისინი ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე და სთხოვეს იმერეთის ეპისკოპოზს ნება-რთვა ბახვის ამხანაკობასთან შეერთებისა. იმან ნება დართო და წესდებაც გაიგზავნა და დამტკიცდა ოზურგეთის ამხანაგობის სახელზე. ამხანაგობის გახსნის წინ, ყველა მასში მონაწილე საზოგადოება მოწვეული იყო ოზურგეთში 5-ს მარტს 1878 წელს ამხანაგობის გასახსნელად. ამ დღეს ცხადად აღმოჩნდა, რომ ბახვს გარეთ, არც ერთს საზოგადოებას სურვილი არ ჰქონია ამხანაკობაში მონაწილეობის მიღებისა: ბახვიდგან შეიკრიბა 60 კაცზე მეტი, დანარჩენ საზოგადოებაებიდამ კი მხოლოდ ათიოდე კაცი და ეს წრა. ამ კრებაზე ბახველებმა პირ-და-პირ გამოუცხადეს ამხანაკობის მოთავეებს: ჩვენ ჩავიწერებით ამხანაკობის წევრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სიტყვას მოგვცემთ, რომ ერთის წლის შემდეგ მთელი ამხანაგობა გადვიტანოთ ბახვში, ან გავიყოთ ბახველებმა და ცალკე ამხანაგობა შევადგინოთო. ჩვენ გვირჩევნია ჩვენი საქმე ჩვენსავე ეზოში იყოსო; თითო ორ-ორი მანეთისთვის რვა ვერსზე როგორ ვიაროთ და რომც ვიაროთ, აქ სახლი არა გვაქვს თავისუფალი, ვერავის ვერ ვიცნობთ და არ ვიცით ვინ უნდა ამოვირჩიოთ გამგებლებათო, ვის მივანდოთ ჩვენი ოფლით შეგროვილი თითო ოროლა გროშიო; ეს „ჩინოსნიკობა“ დღეს აქაა, ხვალ არა-ვის რაპასუხი უნდა მოვსთხოვოთ ჩვენს საქმეშიო და სხვა. დამაარსებლებს რაღა ძალა ჰქონდათ უნდა დათანხმებოდათ ამათ სურვილს და ამ ნაირად მხოლოდ ზემოდხსენებული პირობით გაიხსნა ოზურგეთის ამხანაგობა, ე. ი. რომ ერთ წელიწადს უკან ის გადატანილიყო ბახვში, გაიხსნა ამხანაკობა, გამგეობამ აცნობა ყოვლად სამღვდელოს და სთხოვა დაპირებული ფულების გამოგზავნა, რომელზედაც იმან იგივე პირობა მოითხოვა, რომელიც ბახველებს ჰქონდათ ნათქვამი, და იმისგან შეწირული ფულის სარგებლიდამ 6 თუმანი უნდა მოხმარებოდა ბახვის შკოლას; მაგრამ ეს პირობა მაშინდელმა ამხანაგობის გამგეობამ სასარგებლოდ ვერ სცნო (?!) და ფულის მიღებაზედ უარი მისწერა შემომწირველს და ამ ნაირად დაბოლოვდა, ავტორის სიტყვით დღესაც დაუბოლოვებელი, მოლაპარაკება. ვითომც ეპისკოპოზსა და მისს სახლიკაცებს შუა ამ ფულის თაობაზე დარჩა ამხანაკობას მხოლოდ წევრებისგან შეტანილი ფულები, რომელიც მოკლე ხანში სულ გაისესხა და კასსა დაცალიერდა. მოდიან გაჭირვებული წევრები რვა ვერსის სიშორეზე დიდი ვაი ვაგლახით, მოსძებნიან რომელიმე მმართველს, თხოულობენ ფულს, მაგრამ კასსაში გროში არა არის. შეურდებათ გული წევრებს და ნაღვლიანათ ამბობენ: „მეეგონა რაცხას დასტურ მოგვეხმარებოდა აი ბანკი, თურმე რაცხა მატყუარი ყოფილა: ტყუილაი ვცდებით თელი დღეი აქანაი ლოდვაში.“

„ბადის დრო, ინიშნება ვითომ კრებები, მაგრამ ამხანაგობაში შემომსვლელი ძალიან ცოტა ჩნდება. გამგეობაც აირ-დაირია: მთელი წლისგან მავალობაში ხუთი გამგებელი გამოიცვალა. ამ ნაირად უფერულად და უსიცოცხლოდ გაიარა ამ ამხანაგობის წლიურმა არსებობამ. წლის თავზე, კრების დროს, ბახველებმა მოითხოვეს ამხანაკობის ბახვში გადატანა დაპირებისამებრ. მაგრამ გამგეობამ სთხოვა გადაედვათ ამ კითხვის გადაწყვეტა შემდეგს [illegible] და მოელიან შემდეგ კრებაზე საქმის გათავებას!

ეს გახლავსთ ნამდვილი მოთხრობა ოზურგეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა! მაშ თქვენ სიზმარში მოგეჩვენებიათ, რომ ვითომც იმერეთის ეპისკოპოზი იმ პირობით აძლევს ამხანაგობას ა თ ა ს ხ უ თ ა ს მანეთს (ხუთასი მანეთიც თქვენ თვითონ მოგიმატნიათ), თუ ის ოზურგეთიდამ ბახვში გარდაიტანებაო?. ამხანაკობა ისეთი ახალი საქმე იყო, რომ წინათვე ძნელი საცნობი იყო, რომ ის თავის საქმეს კარკად წაიყვანდა; ამისათვის კარგი იქნებოდა ამხანაკობისა და შკოლის ინტერესების შეერთება. ეს შკოლა ხუთი წელიწადია არსებობს, ამაში იზრდება ყოველ წლივ 40 მეტი ღარიბი ყმაწვილი ბახვის საზოგადოების გარდა სხვა ბევრი გარეშე საზოგადოების მცხოვრებლებისა და ნუთუ ამისთანა საქმის მხარში შედგომა და ამხანაკობის გაწევა სასარგებლოთ ვერ ნახა მაშინდელმა გამგეობამ! ამ ნაირ საქმეს თავისთავათაც უნდა ეხმარებოდეს ამხანაგობა; აქ კი სხვასაც აღარ ანებებენ სახალხო შკოლის შემწეობას—გასაოცარია!

თუ ამასაც „ვიწრო ინტერესს“ დაარქმევთ, უფ. ავტორო, და იტყვით: არა, მაინც-და-მაინც ბახვის შკოლას ეწევა ეპისკოპოსიო, რატომ ხუთივე საზოგადოებაების შკოლებს არ ეწევაო: ამ საზოგადოებაებში შკოლები არ არსებობენ, მაგრამ ამაზედაც შეგიძლიათ სთქვათ: ბახვში კი გახსნა თავის ხარჯით შკოლა, რატომ ყოველგან არ ხსნისო!—

ის მიზეზები, რომ ბახვი დამოკიდებულია სხვა საზოგადოებაებზედ, რომ თუ ახლაც შეერთებული ძალით ვერ მიყავთ კარგათ საქმე, მარტო ბახველები როგორ წაიყვანებენო,—უსაფუძვლონი არიან მით, რომ ამხაგობა თითქმის მარტო ბახველებისაგან შესდგება და

---

რა ანბავი არის! მე თითონ არ ვიცი ვინ ჩამაყარა თვალში ნაცარი! არ ვიცი ვიღამაც ეს ფული უბეში ჩამიწყო, თორემ ღმერთია გულთამხილავი! გამაგებინე რაანბავია, სისხლს ნუ ამიმღვრევ!

ოხანეზა. გაუტეხარო! არამზადავ! ეხლა რომ ვერ გაგტეხე, უპიდამ ფული ამოგაცალე, მაშ როდის უნდა გატყდე! მითხარ, ვაჟბატონო, რას მეუბნები დანარჩენს დაკარგულ ფულებზედ! თუ გამისწორდები, ხომ კარგი, თუ არა და ეს არის ვატყობინებ პოლიციას!

ტარიელა. აღა! ნუმკლავ უდანოთ! ნუ იდებ ჩემ ცოდოს! ამდენი წელიწადია პატიოსნურათ მიმსახურნია, კაცათ მიცნობენ და შენ უმიზეზოთ ყელსა მჭრი! ნუ დაიდებ ჩემს ცოდოს! თუ გწადიან რამე, მითხარ! შენ ხომ ჩემი ცხრა წლის ნამსახური ორას თუმანზედ მეტი დაგედება, ერთი რამ დამაკელ აქედან, დანარჩენი მამეცი და გამისტუმრე.

ოხანეზა. მე კარგს ორას თუმანს მოგცემ! (ყვირის) ბიჭო, ბიჭო! შემოდი, გამცარცვა ტარიელამა!

ტარიელა. (მივარდება, პირზედ ხელს დააფარებს). აღა, ნუ მჭრი ყელსა! ნუ იდებ ჩემ ცოდოსა, თორემ ეს-ეს არის გაგიშრე სიცოცხლე!

ოხანეზა. ბიჭო დამღუპე და კიდეც უნდა მამკლა! შენ თითონ ჩემის ხელით მოსაკლავო, შენ თითონ ჩემის ხელით დასახრჩობო!... მაგრამ პურ-მარილის ხათრისათვის ცხრა წელიწადი გიმსახურნია, ჯამაგირს მოპარულებში გამოგირიცხავ და წადი!

ტარიელა. ეგ არის, აღა, შენი სამართალი! ჩემს ამაგს ეგ ეკადრება! იცი, რომ ცოლ-შვილობას ვეკიდები, იცი რომ საქვეყნოთ არ გამოვალ შენსავით უნამუსო საქმეზე და იმიტომ მღუპავ?.. მაინც რა გაქვს სახეში, რა უნდა მამცე?

ოხანეზა. დიდი, დიდი პურ-მარილობიათვის ეგ ოცი მოპარული თუმანი მოგცე, გასწი, შვილოჯან და შენ შენთვის და მე ჩემთვის!

ტარიელა. (დასტერიდება, ტუჩებს დაუწყებს კვნეტა). არ იძლევი? არ იძლევი? (მიუახლოვდება. ოხანეზა უკან იწევს). შენისთანა კაცს ცრემლი, ვედრება, მამაშვილური ტკბილი თხოვნა გულს არ დაულბობს, უფრო უქვავებს! თქვენი დამამშვიდებელი ეს მარჯვენაა! (წასწვდება საყელოში, შეაბანჯღალავებს) თქვი მამცემ? თქვი შენ ჩაჭიდე უბეში ფული.?

ოხანეზა (ღრიალებს) მოგცემ, მოგცემ! ნუ მახრჩობ! დაჯე რაღა ვა! აი, დაგითვლი! ვა, ხელი გაუშვი!... კიდეც მოგცემ, კიდეც დამახრჩო?!

ტარიელა. (შეუტევს და სკამზედ დააგდებს. ყელში ხელი ისევ უკიდია). მანამ არ დამითვლი ჩემი ცხრა წლის ამაგსა არ გაგიშვებ შე....

ოხანეზა. (ხრიტინებს. ტარიელა არ უშვება ხელს. ოხანეზა ამოიძახება): გამიშვი, მოგცემ, მოგცემ!

ალ. თუთაევი

გორი, 29 ივლისს.

მაშასადამე ძალა აქ სრულიად არ იყოფება, არამედ იკრიბება კიდეც, რადგან ეს საზოგადოება შესდგება ხუთასამდე კომლისაგან და თითქმის მთელი საზოგადოება ამბობს, თუ კი ბახვში გვექნება ამხანაგობა, ყველა მივიღებთ მონაწილეობასაო! მაშ რათ უშლით ამათ ცალკე ამხანაგობის დაარსებას? განა თქვენც არ შეგიძლიათ მეორე ამხანაგობა ცალკე დაარსოთ?

რაც შეეხება საქმის ცოდნას, განა სოფლებში ამხანაგობაები არ არსებობენ? თუ იმათ, თქვენი აზრით, ქალაქელები მართავენ და არა ერთი ორი სოფლელები?

ის მიზეზი, რომ ბახვში ამხანაგობა სამღვდელოებას ჩაუვარდება ხელშიო, არამცთუ უსაფუძვლო—სასაცილოა: ნუ თუ მთელი საზოგადოების ქონება და დაწესებულება საეტლო ცხვრად მიგაჩნიათ, რომ მღვდლების ლუკმათ ჰხდით?

ბ. შარაშიძე.

# რუსეთი

— გაზეთ „ახალ დროებაში“ იწერებიან, რომ ერთ დილით, როცა პოეზდი მოსკოვიდამ პეტერბურღში უნდა წასულიყო, ვაკზალზედ, ერთმა ღარიბულათ ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ვაგონებს ხან აქეთ უტრიალებდა, ხან იქით,—მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ჟანდარმმაც, სხვათა შორის, შენიშნა იმისი სხვანაირი სახის გამომეტყველება, არეულობა და კარგა ხნის თვალ-ყურის დევნის შემდეგ ჰკითხა, თუ რისთვის მოსულა ვაკზალზედ და რას აკეთებს იქ მთელი ნახევარი დღე. ამან მიუგო, რომ ნაცნობებს მოელის მოსკოვიდამ. ყმაწვილკაცს მიუჩინეს ჟანდარმი, რომ ის არ მოშორებიყო და ყური ეგდო. ღამე, როცა პოეზდი უნდა მოსულიყო, უცნობი წავიდა ფეხისალაგში და როცა კონდუქტორმა დაუშტვინა და პოეზდი დაიძრა წასასვლელად, ის გამოექანა და ვაგონების გოგრების ქვეშ შეძვრა; ვაგონმა გადაუარა და თავი მოგლიჯა.

გაიგეს, რომ წინადღეს ის ენახათ ერთ მახლობელ სოფელში, რომ ბებერ დედაკაცს პურსა სთხოვდა; ბებერს გამოუკითხავს ყველაფერი და გაუგია, რომ ის ჰყოფილა სოფლის შკოლის მასწავლებელი, მაგრამ იმ დროს უადგილოთ დარჩომილი. „დიდი სირცხვილიაო სამოწყალოს თხოვნა“, უთქვამს იმას: „მაგრამ რას იქ, როცა გშიანო“!..

— ამას წინათ ხერსონის ხაზინაში დაიკარგა 500,000 (ხუთასი ათასი) მანეთი, რომელსაც აბრალებდნენ ესრეთ წოდებულს საშკა ინჟინერს

როგორც იწერებიან რუსულ გაზეთებში, ეს ფულები ეხლა უპოვიათ მიწაში ერთი არშინის სიღრმეზედ ჩაფლული, მაგრამ აკლია 30,000 (ოცდა-ათი ათასი) მანეთი. ინჟინერი საშკა ამდენი ხანი დამალული იყო, მაგრამ ეხლა გაუგიათ, რომ ის ჰყოფილა ღენერლის იურკოვსკის ვაჟი. ფულები გადაუციათ იქაურ ბანკისთვის.

# განცხადებანი

## „ბათუმი“

### ახალი სასტუმრო ქუთაისში.

ახლად გახსნილის ქ. ქუთაისში **ბათუმის** სასტუმროს მასპინძელი ვაცხადებ პატივცემულის საზოგადოების საცნობლად, რომ მე გავათავე ყველა ახალი მოშენებული ოთახები ჩემის სასტუმროისა და ფასებიც შევამცირე, ასე რომ 33-ს ოთახში, რომელნიც ჩემს სასტუმროში არის, ზოგი 50 კაპეიკად ღირს, ზოგი 70 კაპ., ზოგი 1 მ., 1 მ. 50 კაპ., 2 მან. და 3 მან. ამასთანავე სასმელ-საჭმლის ფასიც დავამცირე. აქტიორებს და სხვა მოთამაშებთაგანს მეათედ ფასს ვუკლებ ყველაფერზედ.

ზ. ბარძიმიშვილი.

(3—1)

**ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამართველო** აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ინიშნება საზოგადო-ვაჭრობით გასასყიდლად, ბანკის სადგომზე, შემდეგი მამული:

**წერეთელთა**, გიორგი და დიმიტრი ევთიმეს ძეთა, ვასილ სიმონის ძის და შტაბს კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა, მდებარე ქუთაისის უეზდის, წინავეღში, სახელად „სარბევი.“

(1—1)

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები **ფიჭვისა** და **ნაძვის ხეებისა** კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვის. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს არსენალის ქუჩაზე, ფოლინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩერუტი·

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

## „ყარამანიანისა“

პუკის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოვის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის

ფასი 40 კაპ.

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 29 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვ. წითელი | 1 | 70 |
| ქერი ფუთი | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი | 9 | 40 |
| გაწენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი | 6 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | 30 |
| ხორცი ძროხისა ლიტრა | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 81 |
| სპირტი ვედრო | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ | 7 | — |
| —ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა რგვალი გრვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 30 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 7 | — |

### თფილისის სამკურნალო.

**ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დის.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და გაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, გაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბელტი—კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.